საფოსტო გზავნილის დეკლარირების წესი მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგზავნისას

(ინსტრუქცია მომხმარებლისთვის)

1. ზოგადი დებულებები

1.1. ქვეყნის ფარგლებს გარეთ საფოსტო ბარათის ან წერილის გაგზავნისას, საბაჟო დეკლარაციის შევსება **სავალდებულო არ არის,** გარდა 1.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

1.2. საბაჟო დეკლარაციის (**CN22** ან **CN23** ფორმის სახით) შევსება **სავალდებულოა,** საქართველოს ფარგლებს გარეთ შემდეგი სახეობის და წონის საფოსტო გზავნილების გაგზავნისას:

- წერილი, რომლის წონაც 1 კგ და მეტია;
- ნებისმიერი წონის წერილი, თუ ის იმ ქვეყანაში იგზავნება, სადაც საბაჟო დეკლარაციის გარეშე მისი მიღება არ ხდება;
- მცირე პაკეტი;
- M ტომარა;
- ამანათი;
- EMS გზავნილი.

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

- **წერილი** -2კგ-მდე წონის ქაღალდზე დატანილი ტექსტი, დოკუმენტი, ჟურნალი, გაზეთი, პერიოდული გამოცემა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი, პლასტიკური ბარათი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთი, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართული კომპაქტდისკი და მეხსიერების ბარათი.
- **მცირე პაკეტი** - 2კგ-მდე წონის ნებისმიერი ნივთი, წიგნი, აგრეთვე კომერციული დანიშნულებით (მაგ. გასაყიდად) გასაგზავნი წერილი.
- **M ტომარა** - 30კგ-მდე წონის ერთ ადრესატზე დამისამართებული წიგნები, გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა მსგავსი შინაარსის პროდუქცია.
- **ამანათი** - 20კგ-მდე წონის ნებისმიერი საგანი (დოკუმენტი/ნივთი).
- **EMS გზავნილი** - 2კგ-მდე წონის დოკუმენტი ან 20კგ-მდე წონის ნებისმიერი ნივთი.

2. პასუხისმგებლობა დეკლარაციის შევსებასა და მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე

2.1. საბაჟო დეკლარაცია ივსება გამგზავნის სახელით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ ხდება საბაჟო დეკლარაციის (ფორმის) ფიზიკურად შევსება, მასში შეტანილი იმ ინფორმაციის სისწორეზე, რომლის წარმოდგენაც გამგზავნის ვალდებულებაა, პასუხისმგებელია გამგზავნი.

2.2. გზავნილის გაგზავნის პროცედურის დასრულებამდე, გამგზავნი უნდა გაეცნოს ფორმაში შეტანილ ინფორმაციას და იმის დასტურად, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები სწორია და გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით და საფოსტო ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს - ფორმას მოაწეროს ხელი.

3. ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება გამგზავნისგან საბაჟო დეკლარაციის (CN22 ან CN23 ფორმის) შესავსებად

3.1. საბაჟო დეკლარაციის შესავსებად, გამგზავნს მოეთხოვება შემდეგი ინფორმაციის ცოდნა/წარმოდგენა:

3.1.1. გამგზავნის ვინაობა;

3.1.2. გამგზავნის სრულყოფილი მისამართი;

3.1.3. გამგზავნის მობილური ტელეფონის ნომერი - რეკომენდებულია;

3.1.4. ადრესატის ვინაობა;

3.1.5. ადრესატის სრულყოფილი მისამართი;

3.1.6. ადრესატის ტელეფონის ნომერი - რეკომენდებულია;

3.1.7. გზავნილში მოთავსებული ნივთების სრული ჩამონათვალი, თითოეული მათგანის რაოდენობის, წონისა და ღირებულების მითითებით. ასევე გზავნილის საერთო ღირებულება;

3.1.8. გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში - მისი შიგთავსის სადაზღვევო თანხა ლარში;

3.1.9. გზავნილის გაგზავნის დანიშნულება (კატეგორია);

3.1.10. თითოეული ნივთის სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და მისი გამოშვების ქვეყანა (ასეთი ინფორმაციის მითითება არ არის სავალდებულო, თუ გზავნილის გაგზავნის დანიშნულებაში (კატეგორიაში) მითითებულია „საჩუქარი“ ან „დოკუმენტი“).

გაითვალისწინეთ!
საქონლის შესაბამისი **სეს ესნ (HS) კოდის** მოძიება მომხმარებელს შეუძლია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე: https://www.rs.ge/CommodityCodes?cat=2&tab=1

3.1.11. ექვემდებარება თუ არა გზავნილით გასაგზავნი ნივთი კარანტინის ან სანიტარულ/ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები;

3.1.12. თუ გზავნილში მოთავსებული ნივთის დანიშნულების ქვეყანაში იმპორტისთვის მოითხოვება ლიცენზიის, სერტიფიკატის ან სხვა სახის ნებართვის, აგრეთვე ანგარიშფაქტურის (ინვოისის) წარდგენა, გამგზავნი ვალდებულია გზავნილთან ერთად წარმოადგინოს ასეთი დოკუმენტ(ებ)იც.

გაითვალისწინეთ!
თუ გზავნილი კომერციული დანიშნულებით იგზავნება, სასურველია ანგარიშფაქტურის (ინვოისის) თანდართვა.

3.2. შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს უარი უთხრას გამგზავნს გზავნილის გაგზავნაზე, თუ მის მიერ სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი 3.1 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია.

4. ზოგადი რეკომენდაციები

4.1. საბაჟო დეკლარაცია (CN22 ან CN23 ფორმა) უნდა შეივსოს ლათინური ასოებისა და არაბული ციფრების გამოყენებით.

4.2. მნიშვნელოვანია საბაჟო დეკლარაციის_(CN22 ან CN23 ფორმა) ყველა ველი შევსებული იყოს სწორად და სრულყოფილად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, ასევე, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან დაბეგვრას, დაჯარიმებას, უკან დაბრუნებას და/ან ჩამორთმევას.

4.3. თითოეული საფოსტო გზავნილი დანიშნულების ქვეყანაში შესვლისას გადის საბაჟო შემოწმებას. ამ პროცესში, საბაჟო ორგანო, ფოსტისგან დამოუკიდებლად, **თავისი შეხედულებისამებრ** განსაზღვრავს, თუ როგორ მოიქცეს კონკრეტულ გზავნილთან მიმართებაში. კერძოდ: მას შეუძლია ყოველგვარი შეფერხების გარეშე, დაუყოვნებლივ გადასცეს გზავნილი დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას, მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით, თუმცა, საბაჟო ორგანოს ასევე უფლება აქვს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, შეაჩეროს გზავნილი, გახსნას ის, დაათვალიეროს შიგთავსი, მოითხოვოს რაიმე დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა, მიიღოს მისი დაბეგვრის გადაწყვეტილება, ან უარი თქვას მისი ქვეყანაში შეშვებაზე და მოახდინოს ნივთის ჩამორთმევა ან გზავნილის უკან დაბრუნება.

4.4. **ევროკავშირის ქვეყნებში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში** გაგზავნილი საფოსტო გზავნილი, მიუხედავად მისი ღირებულებისა, იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ). თითოეულ ამ ქვეყანაში დღგ-ს ოდენობა დგინდება დამოუკიდებლად და ქვეყნების მიხედვით მერყეობს 16%-დან 24%-მდე. როგორც წესი, დღგ-ს გადასახადის გადახდის ვალდებულება გააჩნია ადრესატს, გზავნილის ჩაბარებამდე. დანიშნულების ქვეყნის საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, დღგ-თი დაბეგვრას შესაძლოა არ დაექვემდებაროს:

ა) კომერციული დანიშნულების გარეშე გაგზავნილი წერილი და EMS დოკუმენტი;

ბ) 45 ევროზე ნაკლები ღირებულების საჩუქრად გაგზავნილი საფოსტო გზავნილი, თუ ის გაგზავნილია **ფიზიკურ პირებს შორის,** განკუთვნილია მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის და თუ ამ პირებს შორის გზავნილების გაგზავნა არ ხორციელდება ხშირად.

4.5. გზავნილი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იგზავნება ის, რა ღირებულებაა მითითებული დეკლარაციაში და რა დანიშნულებით იგზავნება (მათ შორის, დოკუმენტის და საჩუქრის გაგზავნის შემთხვევაში), შეიძლება დანიშნულების ქვეყანაში შესვლისას საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით დაექვემდებაროს დაბეგვრას. ასეთ შემთხვევაში, გზავნილი შესაძლოა არ ჩაბარდეს ადრესატს მანამ, სანამ ეს უკანასკნელი არ გადაიხდის დადგენილ გადასახადს, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, ასეთი გზავნილი დაბრუნდება უკან.

4.6. გზავნილით აკრძალული ნივთის გაგზავნის შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არა მხოლოდ მისი კონფისკაცია, არამედ გამგზავნს დაეკისროს ფინანსური თუ სხვა სახის პასუხისმგებლობა.

განმარტება:
გზავნილის ამა თუ იმ ქვეყანაში შეტანის წესები ერთიანია ყველა საფოსტო ოპერატორისა თუ საკურიერო კომპანიისათვის.

5. ფორმების გამოყენება გზავნილის სახეობის მიხედვით

5.1. გზავნილის სახეობების მიხედვით გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის შემდეგი ფორმები:

- **CN22** – რეგისტრირებული **წერილისა და** მარტივი და რეგისტრირებული **მცირე პაკეტისთვის,** თუ შიგთავსის დეკლარირებისთვის **CN22** ფორმა საკმარისია;
- **CN23** - ნებისმიერი კატეგორიის **წერილის, მცირე პაკეტისა** და რეგისტრირებული **M ტომარასთვის;**
- **CN23 (ამანათი)** - ნებისმიერი კატეგორიის **ამანათისთვის**;
- **CN 23 (EMS)** - ნებისმიერი კატეგორიის **EMS გზავნილისთვის.**

6. CN 22 ფორმის შევსების წესი

6.1. CN22 ფორმის ზომაა: 80 მმX118 მმ და ის აერთიანებს სამისამართო ბლანკს და საბაჟო დეკლარაციას.

6.2. თუ გასაგზავნ გზავნილზე გამგზავნის და ადრესატის მონაცემები უკვე დატანილია/დაწერილია, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს CN22 ფორმის მხოლოდ საბაჟო დეკლარაციის ნაწილი, სამისამართო ბლანკის გარეშე.

6.3. CN22 შევსებულ ფორმას აქვს შემდეგი სახე:

	საქართველოს ფოსტა /GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge				
	Customs declaration /საბაჟო დეკლარაცია	May be opend officialy/ შეიძლება გაიხსნას სასაზღვრო წესით			CN22
Sender/გამგზავნი 1 Name/ვინაობა: **Irakli Metreveli**	საქართველოს ფოსტა /GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge				
Address/მისამართი: **Tbilisi, Tsotne Dadiani Street №15**	☐ Gift /საჩუქარი ☐ Documents/დოკუმენტი V Sale of goods/გასაყიდი საქონელი	☐ Commercial sample / კომერციული ნიმუში 3 ☐ Returned goods /დაბრუნებული საქონელი ☐ Other (please specify)/სხვა (დააკონკრეტეთ):_____			
Postcode/საფოსტო ინდექსი: **0102**	Quantity and detailed description of contents/რაოდენობა და შიგთავსის დეტალური აღწერა 4	Net weight / სუფთა წონა 5	Value and currency/ ღირებულება და ვალუტა 6	HS tariff number/ HS კოდი 7	Country of Origin/ წარმოშობის ქვეყანა 8
Phone/ტელ.: **554 75 54 26**	**2 (two) men's cotton shirts**	**0.500 kg**	**50 EUR**	**620520**	**Turkey**
Addressee/ადრესატი 2 Name/ვინაობა: **Hans Zeiger**					
Address/მისამართი: **Langenhorner Chaussee 600, Hamburg, Germany**	Total weight (in kg)/ საერთო წონა (კგ-ში) 9 **0.500kg**		Total value /საერთო ღირებულება 10 **50 EUR**		
Postcode/საფოსტო ინდექსი: **22419**	I, the undersigned, whose name and address are given on the item certify that the particulars given in this declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations./ მე (ვინაობა და მისამართი მითითებული გზავნილზე) ვადასტურებ ამ საბაჟო დეკლარაციის მონაცემების სისწორეს, აგრეთვე იმას, რომ გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით, ან საფოსტო, ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს				
Phone/ტელ.:	Date and sender's signature/თარიღი და გამგზავნის ხელმოწერა 11				
სამისამართო ბლანკი	საბაჟო დეკლარაცია				

6.4. CN 22 ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

6.4.1. **სამისამართო ბლანკი:**

(1) მიუთითეთ გამგზავნის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, შემოკლების გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, საფოსტო ინდექსისა და ზუსტი მისამართის (მაგ. ქუჩა, კორპუსი, ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **მობილური ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების მითითება.

(2) მიუთითეთ ადრესატის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; ადრესატი ფიზიკური პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მამის სახელის მითითებაც;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, ზუსტი საფოსტო ინდექსისა და მისამართის (მაგ. ქუჩა; კორპუსი; ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატისათვის საფოსტო გზავნილის დროულად ჩაბარება. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების გამოყენება.

6.4.2. საბაჟო დეკლარაცია

(3) გზავნილის ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებიდან (კატეგორიებიდან) აირჩიეთ და მონიშნეთ მხოლოდ ერთი.

- **საჩუქარი** - თუ გზავნილი ყოველგვარი კომერციული მიზნის გარეშე იგზავნება (ე.ი. არ წარმოადგენს გასაყიდ საქონელს ან კომერციულ ნიმუშს, ასევე არ ბრუნდება უკან და ა.შ.);
- **დოკუმენტი** - თუ გზავნილის შიგთავსი ქაღალდზე დატანილი ტექსტი, დოკუმენტი, ჟურნალი, გაზეთი, პერიოდული გამოცემა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი, პლასტიკური ბარათი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთი, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართული კომპაქტდისკი ან მეხსიერების ბარათია;
- **გასაყიდი საქონელი** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი გასაყიდად იგზავნება;
- **კომერციული ნიმუში** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი იგზავნება ნიმუშად, გამოფენაში მონაწილეობისთვის ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის;
- **დაბრუნებული საქონელი** - თუ გამგზავნი აცხადებს, რომ ის უკან აბრუნებს იმ ნივთ(ებ)ს, რომელიც მან მიიღო;
- **სხვა** - თუ გზავნილის გაგზავნის მიზანს არ შეესაბამება არც ერთი ზემოთჩამოთვლილი კატეგორია. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ასევე მიეთითოს გზავნილის გაგზავნის ზუსტი მიზანი (მაგ. ქველმოქმედება).

(4) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის რაოდენობა და მაქსიმალურად დეტალური აღწერა. ამასთან:

- მცირე პაკეტის გაგზავნის შემთხვევაში, სავალდებულოა დეტალურად მიეთითოს თითოეული გასაგზავნი ნივთის რაოდენობა (მაგ. ცალი, შეკვრა და ა.შ.) და აღიწეროს თითოეული მათგანი. დაუშვებელია ზოგადი აღწერა, ისეთი, როგორიცაა მაგ. „ტანსაცმელი“. მის ნაცვლად უნდა მიეთითოს მაგ: „მამაკაცის 2 ცალი ბამბის პერანგი“/2 men`s cotton shirts”.
- წერილის გაგზავნის შემთხვევაში, მისი ფურცლების რაოდენობის მითითება არ მოითხოვება. მის მაგივრად მიეთითება მთლიანი წერილის/დოკუმენტის ეგზემპლარების რაოდენობა. მაგ. თუ იგზავნება 10 ფურცლიანი ხელშეკრულება 2 ეგზემპლიარად, მიეთითება 2 ცალი. თუ წერილის/დოკუმენტის სახეობის მითითება შესაძლებელია (მაგ. ხელშეკრულება; პასპორტი; სასამართლო საქმე და ა.შ.), მიეთითება კონკრეტული სახეობა, სხვა შემთხვევაში ზოგადად მიუთითეთ „დოკუმენტი/document“.

განმარტება:
თუ გზავნილის შიგთავსის შესახებ დეკლარირებული ინფორმაცია არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურებს, სხვა სახელმწიფო

სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციებს უფლება ექნებათ მოახდინონ გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნაწილის ჩამორთმევა და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმება.

(5) თითოეული სახეობის წერილის/ნივთისთვის მიუთითეთ სუფთა წონა. ამასთან, თუ (4) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება ამავე ველში აღნიშნულის საერთო წონა. მაგ. „მამაკაცის 2 ცალი ბამბის პერანგის საერთო წონა: 0.5კგ; ან 2 ცალი ხელშეკრულების საერთო წონა: 1.2კგ.

(6) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის/წერილის საერთო ღირებულება, მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. სავალდებულოა ღირებულების აშშ დოლარში (USD); ევროში (EUR), ან დანიშნულების ქვეყნის ვალუტაში მითითება. თუ გზავნილი ევროკავშირის ქვეყანაში იგზავნება, სავალდებულოა ღირებულების ევროში (EUR) მითითება.

გაითვალისწინეთ! ➢ ნივთების გაგზავნის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მათი არა სიმბოლური, არამედ რეალური ღირებულება, რათა არარეალური ფასი არ გახდეს საბაჟო სამსახურის მიერ გზავნილის შეჩერების საფუძველი. ➢ ნებისმიერი წონის წერილის/დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში (თუ ის არაკომერციული დანიშნულებით იგზავნება), გამგზავნის გადაწყვეტილებით, მის ღირებულებად შესაძლებელია მიეთითოს 0 Euro; 0 USD ან 0 დანიშნულების ქვეყნის ვალუტა.

(7) გზავნილის დანიშნულებაში (კატეგორიაში): „საჩუქარი“ ან „დოკუმენტის“ გარდა ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის მონიშვნის შემთხვევაში, აუცილებელი წესით უნდა მიეთითოს გასაგზავნი ნივთის შესაბამისი სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი).

გაითვალისწინეთ! **„საჩუქარი“** ან **„დოკუმენტის“** გარდა ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გზავნილის სეს ესნ (HS) კოდის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, ის შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ ხანგრძლივი დროით შეჩერებას, მისი ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმას და უკან დაბრუნებას.

(8) მიუთითეთ გამოშვების ქვეყანა - სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი, თუ გრაფაში (7) მითითებული გაქვთ სეს ესნ (HS) კოდი.

(9) მიუთითეთ ნივთების/წერილის საერთო წონა, რომელიც გულისხმობს გზავნილის საერთო წონას, მისი შეფუთვის ჩათვლით.

(10) მიუთითეთ გზავნილის საერთო ღირებულება იმავე ვალუტაში, რაც მითითებულია (6) პუნქტში.

(11) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს.

6.5. თუ ფორმის შევსება შპს „საქართველოს ფოსტის“ გაყიდვების ოპერატორის საშუალებით ხდება, ეს უკანასკნელი გამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე

ელექტრონულად ავსებს მას, რის შემდეგაც ბეჭდავს ფორმას და გადასცემს გამგზავნს, ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად. თუ გამგზავნი მიიჩნევს, რომ ფორმაში შეტანილი ინფორმაცია სწორია, ის (11)-ე ველში კალმით აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს.

6.6. გამგზავნის მიერ ხელმოწერილი CN22 ფორმა ეკვრება გზავნილს წინა მხარეს.

6.7. CN22 ფორმის ზედა მარცხენა კუთხეში ხდება გზავნილის საიდენტიფიკაციო კოდის მითითება, რომელსაც ანიჭებს შპს „საქართველოს ფოსტა“.

7. CN 23 ფორმის შევსების წესი

7.1. CN23 ფორმის ზომაა 148 მმ X210 მმ. ფორმას აქვს შემდეგი სახე:



GEORGIAN POST /საქართველოს ფოსტა
Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge

CN 23
May be opened officially/შეიძლება გაიხსნას სასაზსახერო წესით

(24)

From /გამგზ.
(1) Name/ვინაობა: Nikoloz Beridze
Business /ორგ. დასახელება:
Sender's customs reference (if any) / გამგზავნის სბაჟის შენიშვნა (სსეთის არსებობისას) (3)
Street/ქუჩა: Irakli Abashidze str №48
Postcode/ საფოსტო ინდექსი: 0179 City/ქალაქი: Tbilisi
Country/ქვეყანა: Georgia

To / გან
(2) Name/ვინაობა:
Business /ორგ. დასახელება: LLC Clothes Store
Street/ქუჩა: Gustav Mahleraan ave №18
Postcode /საფოსტო ინდექსი: 1082 City/ქალაქი: Amsterdam
Country/ქვეყანა: Netherlands

Insured value – words/სადაზღვევო თანხა სიტყვიერად: სამოცი ლარი
figures/ციფრებით: 60 (16)
Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional)/იმპორტიორის რეკვიზიტები (სსეთის არსებობისას) (საიდენტ.კოდი/იმპ. კოდი) (17)
Importer's telephone/fax/e-mail (if known)/იმპორტიორის ტელ./ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია) (18)

CUSTOMS DECLARATION / საბაჟო დეკლარაცია

Detailed description of contents / მოთავსების დეტალური აღწერილობა (4)	Quantity როდენობა (5)	Net Weight (in kg) სუფთა წონა (კგ) (6)	Value ღირებულება (7)	For commercial items only/მხოლოდ კომერციული გზავნილებისთვის (8) HS tariff number / ხეს ესხ კოდი	Country of origin of goods/საქონლის წარმოშობის ქვეყანა
Women's Silk dresses	2	0.500 kg	60EUR		
		Total Gross weight / საერთო მთლიანი წონა 0.500kg (9)	Total value/საერთო ღირებულება (10)		

Postal charges/Fees/გზავნილის გაგზავნის ღირებულება (19): 35 GEL

Category of item /გზავნილის კატეგორია
☐ Commercial sample / კომერციული ნიმუში
☐ Other/სხვა _____
☒ Gift /საჩუქარი
☐ Returned goods /დაბრუნებული საქონელი
☐ Documents/დოკუმენტი/
☐ Sale of goods/გასაყიდი საქონელი
Explanation/განმარტება: (11)

Office of origin/Date of posting
გამგზავნი დაწესებულება/ გაგზავნის თარიღი: 0179/01.06.2022 (20)

Insured value SDR/სადაზღვევო თანხა SDR-ში: 43 SDR (21)
Charges/გადასახადი: 7,50 GEL (22)

Comments: (e.g.: goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions)
კომენტარი: (მაგ.: კარანტინს დაქვემდებარებული საქონელი, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები) (12)

I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations / ვადასტურებ, რომ სასაზო დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით, აგრეთვე საფოსტო ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს

☐ Licence /ლიცენზია
Licence No/ლიცენზიის №: (13)
☐ Certificate /სერტიფიკატი
Certificate No/სერტიფიკატის №: (14)
☑ Invoice/ინვოისი
Invoice No./ინვოისის №: (15)

Date and signature / თარიღი და ხელმოწერა (23)

7.2. **CN23 ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:**

(1) მიუთითეთ გამგზავნის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, შემოკლების გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, საფოსტო ინდექსისა და ზუსტი მისამართის (მაგ. ქუჩა, კორპუსი, ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **მობილური ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების მითითება.

(2) მიუთითეთ ადრესატის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; ფიზიკური პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მამის სახელის მითითებაც;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, ზუსტი საფოსტო ინდექსისა და მისამართის (მაგ. ქუჩა; კორპუსი; ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატისათვის საფოსტო გზავნილის დროულად ჩაბარება. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების გამოყენება.

(3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) დაადეკლარირეთ (მიუთითეთ) ყველაფერი, რაც მოთავსებულია გზავნილში. ამასთან:

- თუ გზავნილის შიგთავსს ნივთ(ებ)ი წარმოადგენს, სავალდებულოა მათი მაქსიმალურად დეტალური აღწერა, მაგალითად:
- „ქალის აბრეშუმის კაბა“ (დაუშვებელია ზოგადი აღწერა, მაგალითად, როგორიცაა „ტანსაცმელი“).
- თუ გზავნილის შიგთავსს წერილი/დოკუმენტი წარმოადგენს, მიეთითება მისი სახეობა (მაგ. ხელშეკრულება; პასპორტი; სასამართლო საქმე და ა.შ.). თუ წერილის/დოკუმენტის კონკრეტული სახეობის მითითება შეუძლებელია, შესაძლებელია ზოგადად მიეთითოს „დოკუმენტი/document“.

განმარტება:
თუ გზავნილის შიგთავსის შესახებ დეკლარირებული ინფორმაცია არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციებს უფლება ექნებათ მოახდინონ გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნაწილის ჩამორთმევა და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმება.

(5) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული ნივთის რაოდენობა. წერილის/დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, მისი ფურცლების რაოდენობის მითითება არ მოითხოვება. მის მაგივრად მიეთითება წერილის/დოკუმენტის ეგზემპლარების რაოდენობა. მაგ. თუ იგზავნება 10 ფურცლიანი ხელშეკრულება 2 ეგზემპლიარად, მიეთითება 2 ცალი.

(6) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის/ წერილის საერთო წონა კგ-ში, (5) ველში მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ. „ქალის 2 ცალი აბრეშუმის კაბის საერთო წონა: 0.9კგ.“

(7) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის/ წერილის საერთო ღირებულება (5) ველში მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. სავალდებულოა ღირებულების აშშ დოლარში (USD); ევროში (EUR), ან დანიშნულების ქვეყნის ვალუტაში მითითება. თუ გზავნილი ევროკავშირის ქვეყანაში იგზავნება, სავალდებულოა ღირებულების ევროში (EUR) მითითება.

გაითვალისწინეთ!

- ნივთების გაგზავნის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მათი არა სიმბოლური, არამედ რეალური ღირებულება, რათა არარეალური ფასი არ გახდეს საბაჟო სამსახურის მიერ გზავნილის შეჩერების საფუძველი.
- ნებისმიერ წონის წერილის/დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში (რომელიც არაკომერციული დანიშნულებით იგზავნება), გამგზავნის გადაწყვეტილებით, მის ღირებულებად შესაძლებელია მიეთითოს 0 Euro; 0 USD ან 0 დანიშნულების ქვეყნის ვალუტა.

(8) გზავნილის დანიშნულებაში (კატეგორიაში): „საჩუქარი“ ან „დოკუმენტის“ გარდა ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის მონიშვნის შემთხვევაში, აუცილებელი წესით უნდა მიეთითოს გასაგზავნი ნივთის შესაბამისი სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და მისი გამოშვების ქვეყანა (ქვეყანა, სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი).

გაითვალისწინეთ!

„საჩუქარი“ ან **„დოკუმენტის“** გარდა ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გზავნილის სეს ესნ (HS) კოდისა და გამოშვების ქვეყნის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, ის შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ ხანგრძლივი დროით შეჩერებას, მისი ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმას და უკან დაბრუნებას.

(9) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა, რაც გულისხმობს მის მთლიან წონას, შეფუთვის ჩათვლით.

(10) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება (7) პუნქტში აღნიშნულ ვალუტაში.

(11) გზავნილის ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებიდან (კატეგორიებიდან) აირჩიეთ და მონიშნეთ მხოლოდ ერთი.

- **საჩუქარი** - თუ გზავნილი ყოველგვარი კომერციული მიზნის გარეშე იგზავნება (ე.ი. არ წარმოადგენს გასაყიდ საქონელს ან კომერციულ ნიმუშს, ასევე არ ბრუნდება უკან და ა.შ.);
- **დოკუმენტი** - თუ გზავნილის შიგთავსი ქაღალდზე დატანილი ტექსტი, დოკუმენტი, ჟურნალი, გაზეთი, პერიოდული გამოცემა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი, პლასტიკური ბარათი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთი, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართული კომპაქტდისკი ან მეხსიერების ბარათია;
- **გასაყიდი საქონელი** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი გასაყიდად იგზავნება;
- **კომერციული ნიმუში** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი იგზავნება ნიმუშად, გამოფენაში მონაწილეობისთვის ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის;
- **დაბრუნებული საქონელი** - თუ გამგზავნი აცხადებს, რომ ის უკან აბრუნებს იმ ნივთ(ებ)ს, რომელიც მან მიიღო;

- **სხვა** - თუ გზავნილის გაგზავნის მიზანს არ შეესაბამება არც ერთი ზემოთჩამოთვლილი კატეგორია. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ასევე მიეთითოს გზავნილის გაგზავნის ზუსტი მიზანი (მაგ. ქველმოქმედება).

(12) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ.: წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები;

(13) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი;

(14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერტიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერტიფიკატის ნომერი;

(15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ანგარიშფაქტურა (ინვოისი). ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი;

(16) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი შიგთავსის სადაზღვევო თანხა ლარში (თანხა, რამდენადაც გამგზავნი აფასებს გზავნილის შიგთავსს) სიტყვიერად და ციფრებში;

(17) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში - აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო;

(18) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია);

(19) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის ღირებულება ლარში შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად (თუ ხდება გზავნილის დაზღვევა, ამ ველში მიეთითება მხოლოდ გაგზავნის ღირებულება, ხოლო დაზღვევის მომსახურებისთვის დადგენილი ღირებულების მითითება მოხდება (22)-ე ველში);

(20) მიუთითეთ გამგზავნი სერვისცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი;

(21) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი შიგთავსის სადაზღვევო თანხა სსუ (SDR)-ში;

(22) თუ გზავნილი იგზავნება დაზღვევით, მიუთითეთ დაზღვევის მომსახურების ღირებულება ლარში (თანხა, რომელსაც იხდის გამგზავნი გზავნილის დაზღვევისთვის);

(23) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს;

(24) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო კოდი, რომელსაც ანიჭებს შპს „საქართველოს ფოსტა“.

7.3. თუ ფორმის შევსება შპს „საქართველოს ფოსტის“ გაყიდვების ოპერატორის საშუალებით ხდება, ეს უკანასკნელი გამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ელექტრონულად ავსებს მას, რის შემდეგაც ბეჭდავს ფორმას და გადასცემს გამგზავნს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად. თუ გამგზავნი მიიჩნევს, რომ ფორმაში შეტანილი ინფორმაცია სწორია, ის (23)-ე ველში კალმით აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს.

7.4. ხელმოწერილი **CN23** ფორმის **ორი ეგზემპლიარი** თან ერთვის გზავნილს.

8. CN23 (ამანათი) ფორმის შევსების წესი

8.1. CN23 (ამანათი) ფორმის ზომაა 148 მმ X210 მმ. ფორმას აქვს შემდეგი სახე:



8.2. **CN23 (ამანათი)** ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(1) მიუთითეთ გამგზავნის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, შემოკლების გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, საფოსტო ინდექსისა და ზუსტი მისამართის (მაგ. ქუჩა, კორპუსი, ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **მობილური ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების მითითება.

(2) მიუთითეთ ადრესატის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; ფიზიკური პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მამის სახელის მითითებაც;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, ზუსტი საფოსტო ინდექსისა და მისამართის (მაგ. ქუჩა; კორპუსი; ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატისათვის საფოსტო გზავნილის დროულად ჩაბარება. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების გამოყენება.

(3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) დაადეკლარირეთ (მიუთითეთ) ყველაფერი, რაც მოთავსებულია გზავნილში. ამასთან:

- თუ გზავნილის შიგთავსს ნივთ(ებ)ი წარმოადგენს, სავალდებულოა მათი მაქსიმალურად დეტალური აღწერა. მაგ. მამაკაცის 3 ცალი შალის შარვალი; ქალის 1 ცალი აბრეშუმის კაბა (დაუშვებელია ზოგადი აღწერა, მაგალითად, როგორიცაა „ტანსაცმელი“).
- თუ გზავნილის შიგთავსს დოკუმენტი წარმოადგენს, მიეთითება მისი სახეობა (მაგ. სასამართლო საქმე და ა.შ.). თუ დოკუმენტის კონკრეტული სახეობის მითითება შეუძლებელია, შესაძლებელია ზოგადად მიეთითოს „დოკუმენტი/document“.

განმარტება:
თუ გზავნილის შიგთავსის შესახებ დეკლარირებული ინფორმაცია არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციებს უფლება ექნებათ მოახდინონ გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნაწილის ჩამორთმევა და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმება.

(5) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული ნივთის რაოდენობა. დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, მისი ფურცლების რაოდენობის მითითება არ მოითხოვება. მის მაგივრად მიეთითება დოკუმენტის ეგზემპლარების რაოდენობა. მაგ. თუ იგზავნება 50 ფურცლიანი ხელშეკრულება 2 ეგზემპლიარად, მიეთითება 2 ცალი.

(6) მიუთითეთ (4) ველში მითითებული ნივთ(ებ)ის წონა კილოგრამებში. ამასთან, თუ (5) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება (4) ველში აღნიშნული ნივთის საერთო წონა. მაგ. „მამაკაცის 3 ცალი შალის შარვლის საერთო წონა - 1 კგ; ქალის 1 ცალი აბრეშუმის კაბის წონა - 0.200კგ“.

(7) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის საერთო ღირებულება (5) ველში მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. სავალდებულოა ღირებულების აშშ დოლარში (USD); ევროში (EUR), ან დანიშნულების ქვეყნის ვალუტაში მითითება. თუ გზავნილი ევროკავშირის ქვეყანაში იგზავნება, სავალდებულოა ღირებულების ევროში (EUR) მითითება.

გაითვალისწინეთ!

- ნივთების გაგზავნის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მათი არა სიმბოლური, არამედ რეალური ღირებულება, რათა არარეალური ფასი არ გახდეს საბაჟო სამსახურის მიერ გზავნილის შეჩერების საფუძველი.
- ნებისმიერი წონის დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში (თუ ის არაკომერციული დანიშნულებით იგზავნება), გამგზავნის გადაწყვეტილებით, მის ღირებულებად შესაძლებელია მიეთითოს 0 Euro; 0 USD ან 0 დანიშნულების ქვეყნის ვალუტა.

(8) გზავნილის დანიშნულებაში (კატეგორიაში): „საჩუქარი“ ან „დოკუმენტის“ გარდა ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის მონიშვნის შემთხვევაში, აუცილებელი წესით უნდა მიეთითოს გასაგზავნი ნივთის შესაბამისი სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და მისი გამოშვების ქვეყანა (ქვეყანა, სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი).

გაითვალისწინეთ!

„საჩუქარი“ ან **„დოკუმენტის“** გარდა ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გზავნილის სეს ესნ (HS) კოდისა და გამოშვების ქვეყნის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, ის შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ ხანგრძლივი დროით შეჩერებას, მისი ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმას და უკან დაბრუნებას.

(9) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა, რაც გულისხმობს მის მთლიან წონას, შეფუთვის ჩათვლით.

(10) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება, (7) პუნქტში აღნიშნულ ვალუტაში.

(11) გზავნილის ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებიდან (კატეგორიებიდან) აირჩიეთ და მონიშნეთ მხოლოდ ერთი.

- **საჩუქარი** - თუ გზავნილი ყოველგვარი კომერციული მიზნის გარეშე იგზავნება (ე.ი. არ წარმოადგენს გასაყიდ საქონელს ან კომერციულ ნიმუშს, ასევე არ ბრუნდება უკან და ა.შ.);
- **დოკუმენტი** - თუ გზავნილის შიგთავსი ქაღალდზე დატანილი ტექსტი, დოკუმენტი, ჟურნალი, გაზეთი, პერიოდული გამოცემა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი, პლასტიკური ბარათი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთი, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართული კომპაქტდისკი ან მეხსიერების ბარათია;
- **გასაყიდი საქონელი** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი გასაყიდად იგზავნება;
- **კომერციული ნიმუში** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი იგზავნება ნიმუშად, გამოფენაში მონაწილეობისთვის ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის;
- **დაბრუნებული საქონელი** - თუ გამგზავნი აცხადებს, რომ ის უკან აბრუნებს იმ ნივთ(ებ)ს, რომელიც მან მიიღო;
- **სხვა** - თუ გზავნილის გაგზავნის მიზანს არ შეესაბამება არც ერთი ზემოთჩამოთვლილი კატეგორია. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ასევე მიეთითოს გზავნილის გაგზავნის ზუსტი მიზანი (მაგ. ქველმოქმედება).

(12) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ.: წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარულ/ფიტოსანიტარიულ შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები.

(13) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი.

(14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერტიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერტიფიკატის ნომერი.

(15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ანგარიშფაქტურა (ინვოისი). ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი.

(16) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო.

(17) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია).

(18) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის ღირებულება ლარში, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად (თუ ხდება გზავნილის დაზღვევა, ამ ველში მიეთითება მხოლოდ გაგზავნის ღირებულება, ხოლო დაზღვევის მომსახურებისთვის დადგენილი ღირებულების მითითება მოხდება (24)-ე ველში).

(19) მიუთითეთ გამგზავნი სერვისცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი.

(20) მიუთითეთ ამანათების რაოდენობა (აღნიშნული ველი ამ ეტაპზე არ ივსება).

(21) მიუთითეთ თანდართული სერტიფიკატების ან/და ინვოისების რაოდენობა.

(22) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი სადაზღვევო თანხა SDR-ში.

(23) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა (მისი შეფუთვის ჩათვლით).

(24) თუ გზავნილი იგზავნება დაზღვევით, მიუთითეთ დაზღვევის მომსახურების ღირებულება ლარში (თანხა, რომელსაც იხდის გამგზავნი, გზავნილის დაზღვევისთვის).

(25) გამგზავნის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან კალმით უნდა მოინიშნოს ერთ-ერთი ქმედება იმ შემთხვევისათვის, თუ გზავნილი ვერ ჩაბარდება ადრესატს:

- **დაბრუნების უარყოფა**;
- **<u>გზავნილი დაუბრუნდეს გამგზავნს</u>** (ამ ქმედების მონიშვნის შემთხვევაში, ასევე უნდა აღნიშნოთ, **პრიორიტეტული თუ არაპრიორიტეტული** გზით გსურთ ამანათის დაბრუნება).

გაითვალისწინეთ!

- **„დაბრუნების უარყოფის“** მონიშვნის შემთხვევაში, გამგზავნს უკან არ დაუბრუნდება ამანათი, რომელიც ვერ ჩაბარდება ადრესატს;
- **„გზავნილი დაუბრუნდეს გამგზავნს“** მონიშვნის შემთხვევაში, გამგზავნს შესაძლოა მოუწიოს ამანათის უკან დაბრუნების ხარჯების ანაზღაურება, გამომგზავნი საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ოდენობით. ამასთან, ასეთი ხარჯები შედარებით მეტი იქნება, თუ დაბრუნების პრიორიტეტული გზა იქნება არჩეული.

(26) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს.

(27) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო კოდი.

(28) აღნიშნული ველი ივსება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების შემთხვევაში. ამანათის გატანისას, ადრესატი აღნიშნულ ველში აფიქსირებს გზავნილის ჩაბარების თარიღს და ხელმოწერას.

8.3. თუ ფორმის შევსება შპს „საქართველოს ფოსტის“ გაყიდვების ოპერატორის საშუალებით ხდება, ეს უკანასკნელი გამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ელექტრონულად ავსებს მას, რის შემდეგაც ბეჭდავს ფორმას და გადასცემს გამგზავნს, ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად. თუ გამგზავნი მიიჩნევს, რომ ფორმაში შეტანილი ინფორმაცია სწორია, ის (26)-ე ველში კალმით აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს, ხოლო (25)-ე ველში მონიშნავს მისთვის სასურველ ვარიანტს.

8.4. ხელმოწერილი **CN23 (ამანათი)** ფორმის **ორი ეგზემპლიარი** თან ერთვის გზავნილს.

9. CN 23 (EMS) ფორმის შევსების წესი

9.1. **CN23 (EMS) ფორმის** ზომაა 148 მმ X210 მმ. ფორმას აქვს შემდეგი სახე:


EMS GEORGIAN POST /საქართველოს ფოსტა
Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpo st.ge
(26)
CN 23 EMS
May be opened officially/შეიძლება გაიხსნას სასამსახურო წესით
Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional)/იმპორტიორის რეკვიზიტები (ასეთის არსებობისას) (საიდენტ.კოდი/დღგ. კოდი) (16)
Importer's telephone/fax/e-mail (if known)/ იმპორტიორის ტელ./ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია) (17)
(1) From /გამგზავნი
Name/სახელწოდება LLC Toy Store
Street/ქუჩა Irakli Abashidze str №18
Postcode/საფოსტო 0179 City/ქალაქი Tbilisi
Country/ქვეყანა Georgia
Tel./ ტელ. 568 -75-89-01 E-mail/ელ.ფოსტა Store@gmail.com
Sender's customs reference (if any) / გამგზავნის სასაზღვრო მონაცემები (ასეთის არსებობისას) (3)
(2) To / მიმღები
Name/სახელწოდება Julian Van Dijk
Street/ქუჩა Gustav Mahlerlaan ave №1025
Postcode/საფოსტო 1082 City/ქალაქი Amsterdam
Country/ქვეყანა Netherlands
Tel./ტელ. +31 (0)20 2588 100 E-mail/ელ.ფოსტა Jualian@multi.eu
CUSTOMS DECLARATION / საბაჟო დეკლარაცია
Detailed description of contents/ მოკლედ აღწერილობა (4) | Quantity/ რაოდენობა (5) | Net weight (in kg) / სუფთა წონა (კგ) (6) | Value/ ღირებულება (7) | For commercial items only/მხოლოდ კომერციული გზავნილებისთვის (8)
Billiard accessories | 5 | 9.0kg | 500 EUR | HS tariff number/ სეს ესჰ კოდი: 950420 | Country of origin of goods/ საქონლის წარმოშობის ქვეყანა: USA
Total gross weight/ სრული მოცულობა წონა 9.0kg (9) | Total value/ სრული ღირებულება 500 EUR (10)
Category of item/ გზავნილის კატეგორია: ☐ Commercial sample/ კომერციული ნიმუში ☐ Gift/ საჩუქარი ☐ Returned goods/ დაბრუნებული საქონელი ☐ Documents/ დოკუმენტი ☐ Other/ სხვა
Explanation/ განმარტება (11)
Comments: (e.g., goods subject to quarantine, sanitary/ phytosanitary inspection or other restrictions) კომენტარი: (მაგ., კარანტინს დაქვემდებარებული საქონელი, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები) (12)
☐ Licence/ ლიცენზია Licence No./ ლიცენზიის № (13)
☐ Certificate/ სერტიფიკატი Certificate No/ სერტიფიკატის № (14)
✓ Invoice/ ინვოისი Invoice No./ ინვოისის № (15)
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations. / კვადატრებ. რომ სასაბაჟო დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით, აგრეთვე საფოსტო ან სასაბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს.
Date and signature/ თარიღი და ხელმოწერა (25)
Acceptance information/ ინფორმაცია გამგზავნი ოფისი
Item weight (kg)/ წონა (კგ) 9.0kg (18)
Postal charges/Fees/ გაგზავნის ღირებულება 256 ლარი (19)
Insurance/ სადაზღვევო პრემია 62 ლარი (20)
Total/ სულ 318 ლარი (21)
Office/ ოფისის № 0179 (22)
Date/ თარიღი 01.06.2018 (23) Time/ დრო 15:45 (24)
Delivery information/ ინფორმაცია ჩაბარებისას
Date/ თარიღი Time/ დრო
Person name/ მიმღების სახელი და გვარი
Signature/ ხელმოწერა

9.2. CN 23 EMS ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(1) მიუთითეთ გამგზავნის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, შემოკლების გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - მის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, საფოსტო ინდექსისა და ზუსტი მისამართის (მაგ. ქუჩა, კორპუსი, ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **მობილური ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების მითითება;

დ) **ელექტრონული ფოსტის** მითითება რეკომენდებულია.

(2) მიუთითეთ ადრესატის შემდეგი მონაცემები:

ა) **ვინაობა** (ფიზიკური/იურიდიული პირის) სრულად, ყოველგვარი შემოკლების გარეშე; ფიზიკური პირის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მამის სახელის მითითებაც;

ბ) **სრულყოფილი მისამართი**, რაც გულისხმობს ქვეყნის, ქალაქის/დასახლებული პუნქტის, ზუსტი საფოსტო ინდექსისა და მისამართის (მაგ. ქუჩა; კორპუსი; ბინის ნომერი და ა.შ.) მითითებას;

გ) **ტელეფონის ნომრის** მითითება რეკომენდებულია, ვინაიდან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატისათვის საფოსტო გზავნილის დროულად ჩაბარება. დაუშვებელია ტელეფონის ნომრად მხოლოდ ნულების ან ციფრების გარდა სხვა სიმბოლოების გამოყენება;

დ) **ელექტრონული ფოსტის** მითითება რეკომენდებულია.

(3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) დაადეკლარირეთ (მიუთითეთ) ყველაფერი, რაც მოთავსებულია გზავნილში. ამასთან:

- თუ გზავნილის შიგთავსს ნივთ(ებ)ი წარმოადგენს, სავალდებულოა მათი მაქსიმალურად დეტალური აღწერა. მაგ. ბილიარდის აქსესუარები.
- თუ გზავნილის შიგთავსს დოკუმენტი წარმოადგენს, მიეთითება მისი სახეობა (მაგ. ხელშეკრულება; პასპორტი; სასამართლო საქმე და ა.შ.). თუ დოკუმენტის კონკრეტული სახეობის მითითება შეუძლებელია, შესაძლებელია ზოგადად მიეთითოს „დოკუმენტი/document“.

განმარტება:
თუ გზავნილის შიგთავსის შესახებ დეკლარირებული ინფორმაცია არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურებს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციებს უფლება ექნებათ მოახდინონ გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნაწილის ჩამორთმევა და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმება.

(5) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული ნივთის რაოდენობა. ამასთან, დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში, მისი ფურცლების რაოდენობის მითითება არ მოითხოვება. მის მაგივრად მიეთითება დოკუმენტის ეგზემპლარების რაოდენობა. მაგ. თუ იგზავნება 10 ფურცლიანი ხელშეკრულება 2 ეგზემპლიარად, მიეთითება 2 ცალი.

(6) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის/ დოკუმენტის საერთო წონა კგ.-ში, (5) ველში მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ. „ბილიარდის 5 ცალი აქსესუარის“ საერთო წონა 9კგ.

(7) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული სახეობის ნივთის/დოკუმენტის საერთო ღირებულება (5) ველში მითითებული რაოდენობის გათვალისწინებით. სავალდებულოა ღირებულების აშშ დოლარში (USD); ევროში (EUR), ან დანიშნულების ქვეყნის ვალუტაში მითითება. თუ გზავნილი ევროკავშირის ქვეყანაში იგზავნება, სავალდებულოა ღირებულების ევროში (EUR) მითითება.

გაითვალისწინეთ!

- ნივთების გაგზავნის შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მათი არა სიმბოლური, არამედ რეალური ღირებულება, რათა არარეალური ფასი არ გახდეს საბაჟო სამსახურის მიერ გზავნილის შეჩერების საფუძველი.
- ნებისმიერი წონის დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში (თუ ის არაკომერციული დანიშნულებით იგზავნება), გამგზავნის გადაწყვეტილებით, მის ღირებულებად შესაძლებელია მიეთითოს 0 Euro; 0 USD ან 0 დანიშნულების ქვეყნის ვალუტა.

(8) გზავნილის დანიშნულებაში (კატეგორიაში): „საჩუქარი“ ან „დოკუმენტის“ გარდა ნებისმიერი სხვა მნიშვნელობის მონიშვნის შემთხვევაში, აუცილებელი წესით უნდა მიეთითოს გასაგზავნი ნივთის შესაბამისი სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და მისი გამოშვების ქვეყანა (ქვეყანა, სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი).

გაითვალისწინეთ!

„**საჩუქარი**“ ან **„დოკუმენტის“** გარდა ნებისმიერი სხვა დანიშნულებით გზავნილის სეს ესნ (HS) კოდისა და გამოშვების ქვეყნის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, ის შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ ხანგრძლივი დროით შეჩერებას, მისი ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმას და უკან დაბრუნებას.

(9) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა, რაც გულისხმობს მის მთლიან წონას, შეფუთვის ჩათვლით.

(10) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება, (7) პუნქტში აღნიშნულ ვალუტაში.

(11) გზავნილის ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებიდან (კატეგორიებიდან) აირჩიეთ და მონიშნეთ მხოლოდ ერთი.

- **საჩუქარი** - თუ გზავნილი ყოველგვარი კომერციული მიზნის გარეშე იგზავნება (ე.ი. არ წარმოადგენს გასაყიდ საქონელს ან კომერციულ ნიმუშს, ასევე არ ბრუნდება უკან და ა.შ.);
- **დოკუმენტი** - თუ გზავნილის შიგთავსი ქაღალდზე დატანილი ტექსტი, დოკუმენტი, ჟურნალი, გაზეთი, პერიოდული გამოცემა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი, პლასტიკური ბარათი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საბუთი, აგრეთვე გასაგზავნ დოკუმენტზე თანდართული კომპაქტდისკი ან მეხსიერების ბარათია;
- **გასაყიდი საქონელი** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი გასაყიდად იგზავნება;
- **კომერციული ნიმუში** - თუ გზავნილში მოთავსებული ნივთ(ებ)ი იგზავნება ნიმუშად, გამოფენაში მონაწილეობისთვის ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის;

- **დაბრუნებული საქონელი** - თუ გამგზავნი აცხადებს, რომ ის უკან აბრუნებს იმ ნივთ(ებ)ს, რომელიც მან მიიღო;
- **სხვა** - თუ გზავნილის გაგზავნის მიზანს არ შეესაბამება არც ერთი ზემოთჩამოთვლილი კატეგორია. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ასევე მიეთითოს გზავნილის გაგზავნის ზუსტი მიზანი (მაგ. ქველმოქმედება).

(12) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ.: წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები;

(13) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი;

(14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერტიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერტიფიკატის ნომერი;

(15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ანგარიშფაქტურა(ინვოისი). ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი;

(16) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო;

(17) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია);

(18) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა (შეფუთვის ჩათვლით);

(19) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის ღირებულება ლარში, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად (თუ ხდება გზავნილის დაზღვევა, ამ ველში მიეთითება მხოლოდ გაგზავნის ღირებულება, ხოლო დაზღვევის მომსახურებისთვის დადგენილი ღირებულების მითითება მოხდება (20)-ე ველში);

(20) თუ გზავნილი იგზავნება დაზღვევით, მიუთითეთ დაზღვევის მომსახურების ღირებულება ლარში (თანხა, რომელსაც იხდის გამგზავნი გზავნილის დაზღვევისთვის);

(21) მიუთითეთ სულ გადასახადი თანხა (გზავნილის გაგზავნის ღირებულებას+დაზღვევის მომსახურების ღირებულება) ლარში;

(22) მიუთითეთ გამგზავნი სერვისცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი;

(23) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის თარიღი;

(24) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის დრო;

(25) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს;

(26) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელსაც ანიჭებს „საქართველოს ფოსტა“.

(27) გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებისას, ადრესატის მომსახურე საფოსტო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ მიეთითოს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების თარიღი და დრო, ასევე გზავნილის უშუალოდ მიმღები პირის ვინაობა და ხელმოწერა.

9.3. თუ ფორმის შევსება შპს „საქართველოს ფოსტის“ გაყიდვების ოპერატორის საშუალებით ხდება, ეს უკანასკნელი გამგზავნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ელექტრონულად ავსებს მას, რის შემდეგაც ბეჭდავს ფორმას და გადასცემს გამგზავნს, ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად. თუ გამგზავნი მიიჩნევს, რომ ფორმაში შეტანილი ინფორმაცია სწორია, ის (25)-ე ველში კალმით აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს.

9.4. ხელმოწერილი **CN23 (EMS)** ფორმის **ორი ეგზემპლიარი** თან ერთვის გზავნილს.